## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

## ბრძანება №129

**2016 წლის 30 მარტი**

**ქ. თბილისი**

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანდართული დებულება.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 1 აპრილიდან.

**მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი** **ბესიკ ამირანაშვილი**

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის დებულება

### თავი I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1**

ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, ამოცანებს, ფუნქციებს, სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

**მუხლი 2**

1. დეპარტამენტი არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი.

2. დეპარტამენტი თავისი ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს.

$2^1$. საომარი მდგომარეობის დროს დეპარტამენტი გადადის საქართველოს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში.

3. დეპარტამენტს აქვს ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და დეპარტამენტის სახელწოდებით.

4. დეპარტამენტში დასაქმებული არიან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე, ასევე სხვა საჯარო მოსამსახურეები.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 24 მარტის ბრძანება №24 - ვებგვერდი, 25.03.2021წ.*

**მუხლი 3**

დეპარტამენტი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) სამართლებრივი აქტებით.

**მუხლი 4**

დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი II. დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები

**მუხლი 5**

დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, მათ შორის, სუფსის ნავთობის ტერმინალი), ასევე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, სამხრეთკავკასიური გაზსადენისა და მათი ინფრასტრუქტურული ობიექტების (შემდგომ – დასაცავი ობიექტი) დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მიზნით შესაბამისი კომპლექსური ღონისძიებების, მათ შორის, კონტრტერორისტული და კონტრდაზვერვითი ღონისძიებების განხორციელება;

ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობა;

გ) დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

$გ^1$) კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენა და აღკვეთა;

დ) კომპეტენციის ფარგლებში „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 08.02.2022წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 29 ივნისის ბრძანება №64 - ვებგვერდი, 30.06.2022 წ.*

**მუხლი 6**

დეპარტამენტი:

ა) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს „აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის“ მილსადენების პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული დაცვისა და უსაფრთხოების სისტემის შექმნასა და დანერგვას საქართველოს, სხვა ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან, მილსადენების პროექტების ინვესტორებთან, ნავთობკომპანიებთან და მათ კონტრაქტორებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და რეგულარული კონსულტაციის საფუძველზე;

ბ) უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტების დაცვას, მათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებას, ანალიზსა და შესაბამის ოპერატიულ მომსახურებას;

გ) დასაცავი ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სხვა სამსახურებთან კოორდინაციითა და ურთიერთთანამშრომლობით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს

სამართალდამრღვევ პირთა მიმართ;

გ[1]) უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტის დაცვის ზონაში საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული შეზღუდვების დაცვის კონტროლს და ამ მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენას, აღკვეთასა და საქმისწარმოებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) აწარმოებს დასაცავი ობიექტის ირგვლივ არსებული რისკების შეფასებას, შესაძლო საფრთხის პროგნოზს, ანალიზსა და კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვით ღონისძიებებს;

ე) მოიპოვებს ოპერატიულ ინფორმაციას იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას დასაცავ ობიექტს;

ვ) შეიმუშავებს და ამტკიცებს დასაცავი ობიექტების უსაფრთხოების ზომებსა და დაცვის წესებს;

ზ) დასაცავი ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მონაწილეობს ობიექტების საექსპლუატაციოდ მისაღები სახელმწიფო კომისიის მუშაობაში;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს დასაცავ ობიექტებზე უსაფრთხოების წესების დაცვას;

ი) უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით ახორციელებს იძულების ღონისძიებებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ი[1]) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის დაკავებას და დროებითი განთავსების ცენტრში/დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანას/ესკორტირებას სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის დახმარებით ან მის გარეშე;

კ) ამზადებს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტისთვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტების და ოპერირების დაფინანსების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და „ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულ ასიგნებათა ხარჯვის პროექტს;

კ[1]) ახორციელებს დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობების, ბაზებისა და საგუშაგოების ვიდეომეთვალყურეობას; უზრუნველყოფს შიდა და გარე ვიდეომეთვალყურეობის კამერების საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავებას;

კ[2]) კომპეტენციას მიკუთვნებული ამოცანების შესრულების მიზნით, სამხრე ვიდეოკამერების მეშვეობით ახორციელებს ვიდეო-აუდიო ჩაწერასა და მოპოვებული მონაცემების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამუშავებას;

ლ) სამუშაო პირობების სრულყოფისათვის ახორციელებს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ლოჯისტიკურ უზრუნველყოფას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას და მისი ექსპლუატაციის კონტროლს;

მ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის საქმისწარმოებას;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას იღებს შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში;

ო) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა ფუნქციებს.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 15 მაისის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 17.05.2019წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №135 - ვებგვერდი, 18.09.2020წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 23.12.2021წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 29 ივნისის ბრძანება №64 - ვებგვერდი, 30.06.2022 წ.*

### მუხლი 6[1]

დეპარტამენტის მიერ ვიდეომეთვალყურეობის სისტემისა და სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით ვიდეო-აუდიო ჩაწერისა და ჩაწერილი ინფორმაციის დამუშავების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 23.12.2021წ.*

## თავი III. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები

### მუხლი 7

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ლოჯისტიკის სამმართველო;

ბ) სწრაფი რეაგირების სამმართველო;

გ) ოპერატიული სამსახური;

გ[1]) ადმინისტრაცია (განყოფილება);

დ) ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველო;

ე) სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველო;

ვ) დასავლეთ საქართველოს რეგიონალური განყოფილება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 28.03.2018წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 08.02.2022წ.*

### მუხლი 8

1. ლოჯისტიკის სამმართველოს შემადგენლობაშია:

ა) (ამოღებულია - 07.02.2022, №11);

ბ) ტრანსპორტის განყოფილება;

გ) სანივთე და სურსათის მომარაგების განყოფილება;

დ) რეგიონალური უზრუნველყოფის განყოფილება;

ე) შეიარაღების განყოფილება;

ვ) აღრიცხვიანობის ქვეგანყოფილება.

2. ლოჯისტიკის სამმართველო:

ა) (ამოღებულია - 07.02.2022, №11);

ბ) (ამოღებულია - 07.02.2022, №11);

გ) (ამოღებულია - 07.02.2022, №11);

დ) (ამოღებულია - 07.02.2022, №11);

ე) (ამოღებულია - 07.02.2022, №11);

ვ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის ტექნიკურ გამართულობას;

ზ) აწარმოებს დეპარტამენტისათვის საჭირო სურსათისა და სხვადასხვა დასახელების მატერიალურ საშუალებათა დროულ შეძენასა და სტრუქტურული ერთეულების მიხედვით განაწილებას;

თ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის ბაზებზე არსებული სასადილოების გამართულ ფუნქციონირებას და პირადი შემადგენლობის კვებას;

ი) ახორციელებს დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებში სამშენებლო-სარემონტო და სხვადასხვა სახის სამუშაოების ჩატარებას;

კ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს დეპარტამენტის ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების (მათ შორის, საწვავი, კორპორატიული სატელეფონო ნომრები, მცირეფასიანი აქტივები, სახარჯი მასალები და სხვა) აღრიცხვას და ინვენტარიზაციას;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების შეიარაღებას, საბრძოლო მასალითა და ინვენტარით მომარაგებას;

მ) უზრუნველყოფს სპეციალური საბრძოლო მომზადების გეგმებითა და სასწავლო-საწვრთნელი პროგრამებით დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის სპეციალურ სწავლებას, მომზადებას და გადამზადებას, ასევე გახარჯული საბრძოლო მასალების ჩამოწერას;

ნ) სამუშაო პირობების სრულყოფისათვის ახორციელებს ლოჯისტიკურ უზრუნველყოფას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას და ექსპლუატაციის კონტროლს;

ო) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობისათვის პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევას და შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას;

პ) „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტისთვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტების და ოპერირების დაფინანსების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული მიზნობრივი გრანტის ფარგლებში უზრუნველყოფს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული საფინანსო-სამეურნეო ხასიათის დოკუმენტაციის განხილვას და კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში გადაგზავნას.

ჟ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის სასაწყობე მეურნეობის სწორად წარმართვის კოორდინაციას, სანივთე ინვენტარის ხარჯვაზე კონტროლის განხორციელებას; დეპარტამენტისათვის სხვადასხვა ფორმით გადმოცემული და/ან „BP“-ის გრანტით შეძენილი არაფინანსური აქტივების მიღებას, აღრიცხვას, დასაწყობებას და მოთხოვნების შესაბამისად გადაცემა/განაწილებას.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის ბრძანება №35 - ვებგვერდი, 01.03.2018წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 28.03.2018წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 14 ივნისის ბრძანება №65 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 08.02.2022წ.*

## მუხლი 9

1. სწრაფი რეაგირების სამმართველოს შემადგენლობაშია:

ა) I განყოფილება;

ბ) II განყოფილება;

გ) III განყოფილება.

2. სწრაფი რეაგირების სამმართველო:

ა) ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ობიექტების გაძლიერებულ დაცვას;

ა[1]) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გარდაბნის, თბილისის, მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტების მონაკვეთზე გამავალი დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსის ნავთობსადენი), ასევე მისი ინფრასტრუქტურული ობიექტების დაცვას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

ა[2]) საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობას იღებს სამართალდამრღვევის დაკავების ან/და სამართალდარღვევათა აღკვეთის სხვა ღონისძიებებში;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, მონაწილეობს დაგეგმილ კონტრდაზვერვით და კონტრტერორისტულ ღონისძიებებში;

გ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას იღებს შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში;

გ[1]) კომპეტენციის ფარგლებში, სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით ახორციელებს ვიდეო-აუდიო ჩაწერას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 15 მაისის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 17.05.2019წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 23.12.2021წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 08.02.2022წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 29 ივნისის ბრძანება №64 - ვებგვერდი, 30.06.2022 წ.*

## მუხლი 10

1. ოპერატიული სამსახურის შემადგენლობაშია:

ა) I განყოფილება;

ბ) II განყოფილება;

გ) ანალიტიკური განყოფილება;

დ) კავშირგაბმულობის განყოფილება.

2. ოპერატიული სამსახური:

ა) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს კონტრდაზვერვითი, კონტრტერორისტული და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე გარდაბნის, თბილისის, მცხეთის, კასპის, რუსთავის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, ბორჯომის, ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მონაკვეთზე გამავალი დასაცავი ობიექტების წინააღმდეგ მიმართული სხვა ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, ანალიტიკურ დამუშავებასა და გამოყენებას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს კონკრეტული სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედებების, ასევე სამართალდარღვევების თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელებას;

გ[1]) უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტის დაცვის ზონაში საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული შეზღუდვების დაცვის კონტროლს და ამ მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენას, აღკვეთასა და საქმის წარმოებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ[2]) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის დაკავებას და დროებითი განთავსების ცენტრში/დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანას/ესკორტირებას სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის დახმარებით ან მის გარეშე;

დ) კომპეტენციის ფარგლებში მოიპოვებს ოპერატიულ ინფორმაციას სამართალდარღვევისა და მასში მონაწილე პირების შესახებ; ახორციელებს ღია წყაროებიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფარული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, სისტემატიზაციას, ანალიზს და ერთიან საინფორმაციო-ანალიტიკურ ბანკში განთავსებას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეგიონალურ სამმართველოებში განთავსებული სამორიგეო ჯგუფებიდან ინფორმაციის მიღებას, შეგროვებას, სისტემატიზაციასა და ანალიზს;

ვ) დეპარტამენტის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ახორციელებს დეპარტამენტის საქმიანობის ანალიზს და ამუშავებს სტატისტიკას;

ზ) უზრუნველყოფს დასაცავ ობიექტებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე ოპერატორ კომპანიებთან არსებული ოპერატიული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას, სამოქმედო გეგმებისა და წინადადებების შემუშავებას;

თ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს და სხვა ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან, მილსადენების პროექტების ინვესტორებთან, ნავთობკომპანიებთან და მათ კონტრაქტორებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და რეგულარული კონსულტაციების საფუძველზე უზრუნველყოფს „აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის“ მილსადენების პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული დაცვისა და უსაფრთხოების სისტემის დანერგვას;

ი) საგანგებო შემთხვევების დროს უზრუნველყოფს დეპარტამენტის მობილიზაციის მიზნით მისი სტრუქტურული ერთეულების პირადი შემადგენლობის დროულ ინფორმირებას;

კ) დამტკიცებული გეგმის მიხედვით უზრუნველყოფს სიგნალ „განგაშზე“ დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის ინფორმირებას და გამოცხადებას;

ლ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებში არსებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემის, სამხრე ვიდეოკამერებისა და რადიოკავშირის საშუალებათა შეუფერხებელ მუშაობას;

ლ[1]) უზრუნველყოფს ვიდეომეთვალყურეობის სისტემისა და სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით ჩაწერილი ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამუშავებას;

მ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 28.03.2018წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №135 - ვებგვერდი, 18.09.2020წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 23.12.2021წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 08.02.2022წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 29 ივნისის ბრძანება №64 - ვებგვერდი, 30.06.2022 წ.*

## მუხლი 11 ამოღებულია

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 10 თებერვლის ბრძანება №70 - ვებგვერდი, 13.02.2017 წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 28.03.2018წ.*

## მუხლი 11[1]

ადმინისტრაცია (განყოფილება):

ა) უზრუნველყოფს დეპარტამენტის საქმისწარმოებას, დეპარტამენტის ბეჭდების, შტამპების, ლუქებისა და ნომრიანი ბლანკების აღრიცხვას და შენახვა-დაცულობას;

ბ) უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის გადაგზავნას;

გ) ორგანიზებას უწევს სამინისტროს მიერ დაგეგმილ სპორტულ, სადღესასწაულო და სხვა ღონისძიებებში დეპარტამენტის თანამშრომელთა მონაწილეობას;

დ) კომპეტენციის ფარგლებში უგზავნის ან/და გამოითხოვს ინფორმაციას როგორც სამინისტროს დანაყოფებიდან, ასევე სხვადასხვა უწყებებიდან;

ე) ახორციელებს საქმისწარმოების კონტროლს დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებში.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 08.02.2022წ.*

## მუხლი 12

1. ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს შემადგენლობაშია:

ა) რუსთავი-თეთრიწყაროს განყოფილება;

ბ) წალკის განყოფილება.

2. ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველო:

ა) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გარდაბნის, რუსთავის, მარნეულის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტების მონაკვეთზე გამავალი მილსადენების –დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსის ნავთობსადენი), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთკავკასიური გაზსადენის, ასევე მათი ინფრასტრუქტურული ობიექტების დაცვას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

ბ) სამორიგეო ფუნქციის განმახორციელებელ მოსამსახურეთა მეშვეობით უზრუნველყოფს სამმართველოში შემოსული ინფორმაციის რეგისტრაციას და შემდგომში ოპერატიული სამსახურისათვის გადაცემას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით ახორციელებს ვიდეო-აუდიო ჩაწერას, აგრეთვე, უზრუნველყოფს სამხრე ვიდეოკამერების მიღება-გაცემას, მუდმივად დამუხტულ მდგომარეობაში მოვლა-შენახვასა და სამმართველოს შესაბამის მოსამსახურეებზე მიმაგრებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 28.03.2018წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 23.12.2021წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 08.02.2022წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 29 ივნისის ბრძანება №64 - ვებგვერდი, 30.06.2022 წ.*

## მუხლი 13

1. სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს შემადგენლობაშია:

ა) ახალციხის განყოფილება;

ბ) ციხისჯვრის განყოფილება.

2. სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველო:

ა) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ბორჯომის, ახალქალაქის, ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების მონაკვეთზე გამავალი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთკავკასიური გაზსადენის, ასევე მათი ინფრასტრუქტურული ობიექტების დაცვას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

ბ) სამორიგეო ფუნქციის განმახორციელებელ მოსამსახურეთა მეშვეობით უზრუნველყოფს სამმართველოში შემოსული ინფორმაციის რეგისტრაციას და შემდგომში ოპერატიული სამსახურისათვის გადაცემას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით ახორციელებს ვიდეო-აუდიო ჩაწერას, აგრეთვე, უზრუნველყოფს სამხრე ვიდეოკამერების მიღება-გაცემას, მუდმივად დამუხტულ მდგომარეობაში მოვლა-შენახვასა და სამმართველოს შესაბამის მოსამსახურეებზე მიმაგრებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 28.03.2018წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 23.12.2021წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 29 ივნისის ბრძანება №64 - ვებგვერდი, 30.06.2022 წ.*

## მუხლი 14

დასავლეთ საქართველოს რეგიონალური განყოფილება, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსის ტერიტორიაზე ნავთობის ტერმინალის დაცვას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

ბ) სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით ვიდეო-აუდიო ჩაწერას, აგრეთვე, სამხრე ვიდეოკამერების მიღება-გაცემას, მუდმივად დამუხტულ მდგომარეობაში მოვლა-შენახვასა და განყოფილების შესაბამის მოსამსახურეებზე მიმაგრებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 23.12.2021წ.*

## თავი IV. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და მათი უფლებამოსილებანი

### მუხლი 15

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. დეპარტამენტის დირექტორი ანგარიშვალდებულია მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) წინაშე.

3. დეპარტამენტის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს დეპარტამენტს, წყვეტს დეპარტამენტის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

გ) კონტროლს უწევს  დეპარტამენტის მოსამსახურეთა მიერ მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას;

დ) ანაწილებს ფუნქცია-მოვალეობებს დეპარტამენტის სამმართველოებში შემავალ განყოფილებებს შორის;

ე) მინისტრს და კურატორ მინისტრის მოადგილეს (არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მოსამსახურეთა  წახალისების თაობაზე;

ვ) მიმართავს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს დეპარტამენტის მოსამსახურეების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;

ზ) აანალიზებს დეპარტამენტის საქმიანობას და მინისტრსა და კურატორ მინისტრის მოადგილეს (არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, მათ შორის, დეპარტამენტის სტრუქტურასა და საშტატო განრიგთან დაკავშირებით;

თ) სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარუდგენს წინადადებებს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა დეპარტამენტის ამოცანების შესასრულებლად;

ი) ხელს აწერს ან ვიზირებას უკეთებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტაციას;

კ) ყოველწლიურად ან მოთხოვნისამებრ, მინისტრსა და კურატორ მინისტრის მოადგილეს (არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ლ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს უზრუნველყოფს დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის სამობილიზაციო მზადყოფნას;

მ)  განსაზღვრავს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეთა საკურატორო სფეროებს;

ნ) ახორციელებს საქართველოს  კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, ასევე  მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) ცალკეულ დავალებებს;

ო) კურატორ მინისტრის მოადგილესთან (არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებით მინისტრს წარუდგენს ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნი პირების კანდიდატურებს;

პ) ამტკიცებს დეპარტამენტის სამუშაო გეგმებს;

ჟ) ანაწილებს ამოცანებს და ამტკიცებს ფუნქციურ მოვალეობებს დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებსა და ცალკეულ თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

რ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს დავალებებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

4. დეპარტამენტის დირექტორის არყოფნისას მის მოვალეობას მინისტრის ან კურატორი მინისტრის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) დავალებით ასრულებს დეპარტამენტის დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე.

**მუხლი 16**

1. დეპარტამენტის დირექტორს ჰყავს 3 (სამი) მოადგილე, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით  თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2.  დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის დირექტორს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

ბ) ზედამხედველობას უწევს საკურატორო სტრუქტურულ ერთეულში მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, აძლევს მათ შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;

გ)  ახორციელებს დეპარტამენტში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;

დ) ასრულებს მინისტრის, კურატორი მინისტრის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) და დეპარტამენტის დირექტორის ცალკეულ დავალებებსა და მითითებებს;

ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. დეპარტამენტის  დირექტორის მოადგილე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დეპარტამენტზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია მინისტრის, კურატორი მინისტრის მოადგილისა (არსებობის შემთხვევაში) და დეპარტამენტის დირექტორის წინაშე.

**მუხლი 17**

1. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულის უფროსი:

ა) წარმართავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და წყვეტს სტრუქტურული ერთეულის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) ანაწილებს საქმეებს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეებს შორის, უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულის მუშაობის ორგანიზებას, ზედამხედველობს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივ და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვას;

გ) უზრუნველყოფს სტრუქტურულ ერთეულში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;

დ) კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს უწევს მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში) ბრძანებების, მითითებების, დავალებების, ასევე დეპარტამენტის დირექტორისა და მისი მოადგილის ცალკეული დავალებების შესრულებას;

ე) შიდა სამსახურებრივი საკითხების მოწესრიგების მიზნით კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სტრუქტურული ერთეულის უფროსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სტრუქტურულ ერთეულზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია მინისტრის, კურატორი მინისტრის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის წინაშე.

3. ამ დებულების მე-7 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულების უფროსები არ ახორციელებენ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს“.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 28.03.2018წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 15 მაისის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 17.05.2019წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №135 - ვებგვერდი, 18.09.2020წ.*